

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯი
„თეთნულდი“ დირექტორის
24.11.2017წელი N02/80 ბრძანებით



სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბულალტერ-ტექნიკოსი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. მესტია,

ტელეფონი: 790 755 007,

ელ-ფოსტა: tetnuld68@gmail.com

მესტია
2017წელი

I. სახელწოდება: ბუღალტერ-ტექნიკოსი

II. სარეგისტრაციო ნომერი: 04106-პ

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბუღალტერ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბიზნესსერტეულეებში, როგორც ბუღალტერი, საფინანსო სამსახურის (ბუღალტერიის) სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი (დამხმარე ბუღალტერი, რომლის სამუშაო ადგილი ბიზნესსერტეულეებში შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც ბუღალტრის მოადგილე, ბუღალტრის ასისტენტი და სხვ.) და ა.შ.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მისცეს პირს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის ზოგადი პრინციპებისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობისათვის აუცილებელი ძირითადი საკითხების ცოდნა.

გამოუმუშაოს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების, ბუღალტრული მონაცემების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის, საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშგების დახურვის, საშემოსავლო და დღგ-ის აღრიცხვის, საცდელი ბალანსის შედგენის, დანახარჯების კლასიფიკაციის, პერიოდიზაციისა და თვითღირებულების კალკულაციის, შიდა მენეჯმენტისთვის ანგარიშგების შედგენა-წარდგენისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის გამოყენების უნარები;

შექმნას და გაამართლოს საზოგადოების მოლოდინი, რომ ამ პროგრამით მომზადებული სპეციალისტები დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკისა და კონფიდენციალობის დაცვით, აღჭურვილები იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

VIII. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების მოპოვებაში მონაწილეობა
- სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში და კომპიუტერული პროგრამისგამოყენებით
- შიდა მოხმარების მიზნით (ოპერატიული მართვისათვის) ანგარიშგების მომზადება-წარდგენა
- საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მონაწილეობა
- პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა

IX. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად, სავალდებულო პროფესიულ და არჩევით მოდულს.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება 152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 62 კრედიტი
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 77 კრედიტი

ხანგრძლივობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 11 სასწავლო თვე (44 სასწავლო კვირა)
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 14 სასწავლო თვე (56 სასწავლო კვირა)

XI. სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადიმოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტერ-ტექნიკოსი	2		
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ბუღალტერ-ტექნიკოსი	8		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი-ბუღალტერ-ტექნიკოსი	5		
მეწარმეობა 1	2	პირველადი საადრიცხვო დოკუმენტაცია	5		
უცხოური ენა	4	საადრიცხვო მონაცემთა ბაზები	7		
სამოქალაქო განათლება	2	კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა	5		
ქართული ენა A2	15	საგადასახდო ვალდებულებები	7		
		ანგარიშგებების მომზადება	3		

		ინვენტარიზაცია	4		
სულ: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის	16	სულ:	46	სულ:	0
სულ: არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის	31				

XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს სსიპ პროფესიული კოლეჯი „ თეთნულდი“ , რაზეც დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

დანართი 2 – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 3-23 მოდულები

დანართი 4- ქართული ენის A2 მოდული